სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5002625625

07/05/2025

5002625625

შპს მაიქოფი-ს დირექტორს, ბატონ ალექსანდრე მგელაძეს

(ქ. თბილისი პეტრე იბერის N 4)

ბატონო ალექსანდრე,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2025 წლის 28 აპრილის რეგისტრაციის N1003089825) საფუძველზე, გიგზავნით ტექნიკური ექსპერტიზის N002885025 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 09 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5002625625

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

(ხელმოწერა) ბ.ა

თარიღი 8.05.2023

002885025

ექსპერტის დასკვნა № 002885025

გაფრთხილება

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ტექნიკური ექსპერტიზა.

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს მაიქოფი

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: ქ. თბილისი პეტრე იბერის N 4

სახელი და გვარი: ალექსანდრე მგელაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ზურაბ გველესიანი / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 53 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, წარმოდგენილ ნიმუშებზე ჩაგვიტაროთ ანალიზი და გაგვცეთ პასუხი კითხვაზე: კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტი შეესაბამება თუ არა სათამაშოებთან მიმართებით არსებულ / დადგენილ სტანდარტებს და არის თუ არა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო.

შემოსვლის თარიღი: 28/04/2025 წ

გასვლის თარიღი: 07/05/2025 წ

დასკვნა

ამრიგად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის, ISO 17025 სტანდარტით აკრედიტირებულ საგამოცდო ლაბორატორიაში, XRF EDX 3600B მოდელის, რენტგენოფლუორესცენტული ანალიზატორიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

როგორც ექსპერტიზაზე კონტეინერებით წარმოდგენილი 7 ფერის საღებავი და ეპოქსიდი, ასევე, კომპანიის მიერ, 3D პრინტერით დამზადებული „გურული კაცის“ ფიგურის სახე, მისი ზედაპირი და შიგთავსი, თავისი ქიმიური შემადგენლობით სრულად აკმაყოფილებს ГОСТ ISO 8124-3-2014 “БЕЗОПАСНОСТЬ ИГРУШЕК“ სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს და წარმოადგენენ ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პროდუქტებს.

ზურაბ გველესიანი

გამოკვლევა

თანამდროვე პირობებში, ძალზე გაიზარდა მაღაზიებში ბავშვთა სათამაშოების ასორტიმენტი, რომლის შეძენისას, არა მარტო

ბავშვის სურვილია გასათვალისწინებელი, არამედ სათამაშოს უსაფრთხოებაც, რაც ბუნებრივია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედ ნორმატივებთან და სტანდარტებთან შესაბამისობით.

უპირველეს ყოვლის, სათამაშო დამზადებული უნდა იყოს უსაფრთხო მასალისგან, არ უნდა ქონდეს ბასრი ნაწილები და დაფარული უნდა იყოს ბავშვის ასაკისათვის დამახასიათებელი აღსაქმნელი ფერით.

ამ მხრივ აღსანიშნავია საერთაშორისო სტანდარტი ГОСТ ISO 8124-3-2014 "БЕЗОПАСНОСТЬ ИГРУШЕК" Миграция некоторых элементов, Москва 2019 г., რომელიც მიღებულია სახელმწიფოთაშორისო სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის საბჭოს მიერ 2014 წლის 14 ნოემბერს.

არნიშნულ სტანდარტში მოყვანილია ზღვრულად დასაშვები ნორმები სტიბიუმის (Sb), დარიშხანის (As), ბარიუმის (Ba), კადმიუმის (Cd), ქრომის (Cr), ტყვიის (Pb), ვერცხლისწყლის (Hg), სელენის (Se) მიმართებით.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილები იყო 7 ფერის საღებავი კონტეინერებში და ეპოქსიდი (იხ. ფოტო 1), ასევე 3D პრინტერით დამზადებული „გურული კაცის" ფიგურა (იხ. ფოტო 2).

ანალიზები ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეომლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრის ISO 17025 სტანდარტით აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიაში, პროფესორ-ნოდარ ფოფორაძის ხელმძღვანელობით.

გამოცდის შედეგების მიხედვით (იხ. დანართი 1), ყველა წარმოდგენილი საანალიზო ნიმუში აკმაყოფილებს ГОСТ ISO 8124-3-2014 "БЕЗОПАСНОСТЬ ИГРУШЕК" Миграция некоторых элементов , Москва 2019 г., სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (Sb), დარიშხანის (As), ბარიუმის (Ba), კადმიუმის (Cd), ქრომის (Cr), ტყვიის (Pb), ვერცხლისწყლის (Hg), შემცველობებთან მიმართებით.

შენიშვნა: ГОСТ ISO 8124-3-2014 "БЕЗОПАСНОСТЬ ИГРУШЕК" სტანდარტის მიხედვით, აღნიშნული მავნე ელემენტების რეალური შემცველობები ნაკლები იქნება „ანალიტიკური შესწორებების" გათვალისწინებით, რომლებიც წარმოდგენილია სტანდარტში მოყვანილ N2 ცხრილში (იხ. Таблица 2-аналитические поправки).

ზურაბ გველესიანი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: გრიგოლ სოსელია

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გრიგოლ სოსელია